

ჯგუფი ბაკური

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი
მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (ფასს-ები მსს-ებისთვის)
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
<i>კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	8
2 კომპანიის საოპერაციო გარემო	8
3 მომზადების საფუძველი	8
4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9-16
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	16-17
6 ფულადი სახსრები	17
7 სავაჭრო მოთხოვნები	17
8 მარაგები	18
9 წინასწარ გადახდილი გადასახადები	18
10 საინვესტიციო ქონება	18
11 ძირითადი საშუალებები	18
12 სავაჭრო და სხვა დავალიანება	18
13 ნასესხები სახსრები	18
14 ამონაგები	18
15 რეალიზაციის თვითღირებულება	19
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
17 ფინანსური ხარჯი	19
18 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
19 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს "ბაკური"-ს მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს "ბაკური"-ს (შემდეგში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის კონსოლიდირებულ ფინანსურ საქმიანობასა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს (მსს) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ფიზიკურ დათვალიერებას. ასევე ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მათი რაოდენობების დადასტურება, რომლებიც კომპანიას ჰქონდა 2022 წლის 31 დეკემბრის, შესაბამისად, 12,037 (2021 წლის 31 დეკემბრის: 14,157) ათასი ლარი. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, და ასევე ფინანსური კონსოლიდირებულ საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში ასახულ მარაგებთან დაკავშირებით.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ 2022 წლის 21 ნოემბრის გამოსცა პირობითი მოსაზრება მარაგების ინვენტარიზაციასთან მიმართებით მოპოვებულ მტკიცებულებებზე. წარმოდგენილი შესაძარისი ინფორმაცია ხსენებული თარიღისთვის კორექტირებულია ჩვენ მიერ მხოლოდ შესაბამისობისთვის. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ამ მონაცემებზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია (გაგრძელება)

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ები მსს-თვის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვვგვაზოთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მარინა აბულაძე/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-F-256603

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

SARAS-A-377251

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღმწიფარო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღმწიფარო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


მარინა აბულაძე/ სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი:

აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი:

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო


SARAS-F-256603
SARAS-A-377251

ჯგუფი ბაკური
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები	6	2,803	1,013
სავაჭრო მოთხოვნები	7	4,447	2,686
მარაგები	8	12,037	14,157
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	2,698	1,650
სულ მიმდინარე აქტივები		21,985	19,506
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
საინვესტიციო ქონება	10	10,817	29
ძირითადი საშუალებები	11	54,234	52,098
სულ გრძელვადიანი აქტივები		65,051	52,127
სულ აქტივები		87,036	71,633
ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	12	20,228	16,101
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,228	16,101
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
ნასესხები სახსრები	13	23,444	20,587
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,444	20,587
სულ ვალდებულებები		43,672	36,688
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,310	3,416
გადაფასების რეზერვი		19,646	26,189
არამაკონტროლებელი წილი		2,433	550
გაუნაწილებელი მოგება		18,975	4,790
სულ საკუთარი კაპიტალი		43,364	34,945
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		87,036	71,633

თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	6	2,803	1,013
სავაჭრო მოთხოვნები	7	4,447	2,686
მარაგები	8	12,037	14,157
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9	2,698	1,650
სულ მიმდინარე აქტივები		21,985	19,506
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	10	10,817	29
ძირითადი საშუალებები	11	54,234	52,098
სულ გრძელვადიანი აქტივები		65,051	52,127
სულ აქტივები		87,036	71,633
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა დავალიანება	12	20,228	16,101
სულ მიმდინარე ვალდებულებები		20,228	16,101
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	13	23,444	20,587
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23,444	20,587
სულ ვალდებულებები		43,672	36,688
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,310	3,416
გადაფასების რეზერვი		19,646	26,189
არამაკონტროლებელი წილი		2,433	550
გაუნაწილებელი მოგება		18,975	4,790
სულ საკუთარი კაპიტალი		43,364	34,945
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		87,036	71,633

თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	14	18,405	9,550
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(4,737)	(5,668)
საერთო მოგება		13,668	3,882
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		3,510	2,258
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან)		39	89
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(4,151)	(3,377)
ფინანსური ხარჯი	17	(1,305)	(1,066)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		73	98
მოგება დაბეგრამდე		11,834	1,884
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		11,834	1,884
ჯგუფის მშობელი საწარმოს მოგება/(ზარალი)		9,983	2,018
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე მიკუთვნიებული მოგება/(ზარალი)		1,851	(134)

თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	14	18,405	9,550
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(4,737)	(5,668)
საერთო მოგება		13,668	3,882
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		3,510	2,258
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		39	89
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(4,151)	(3,377)
ფინანსური ხარჯი	17	(1,305)	(1,066)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		73	98
მოგება დაბეგვრამდე		11,834	1,884
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		11,834	1,884
ჯგუფის მშობელი საწარმოს მოგება/(ზარალი)		9,983	2,018
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებული მოგება/(ზარალი)		1,851	(134)



თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31-დეკ-20	4,986	32,639	(3,159)	668	35,134
კაპიტალის გატანა	(1,570)	-	-	-	(1,570)
წლის მოგება	-	-	2,018	(134)	1,884
დივიდენდის გატანა	-	-	(580)	-	(580)
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	77	-	-	77
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(6,527)	6,511	16	-
31-დეკ-21	3,416	26,189	4,790	550	34,945
კაპიტალის გატანა	(1,106)	-	-	-	(1,106)
წლის მოგება	-	-	9,983	1,851	11,834
დივიდენდის გატანა	-	-	(2,309)	-	(2,309)
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(6,543)	6,511	32	-
31-დეკ-22	2,310	19,646	18,975	2,433	43,364

თენგიზ ბაკურიძე
 დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
 ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31-დეკ-20	4,986	32,639	(3,159)	668	35,134
კაპიტალის გატანა	(1,570)	-	-	-	(1,570)
წლის მოგება	-	-	2,018	(134)	1,884
დივიდენდის გატანა	-	-	(580)	-	(580)
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	77	-	-	77
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(6,527)	6,511	16	-
31-დეკ-21	3,416	26,189	4,790	550	34,945
კაპიტალის გატანა	(1,106)	-	-	-	(1,106)
წლის მოგება	-	-	9,983	1,851	11,834
დივიდენდის გატანა	-	-	(2,309)	-	(2,309)
გადაფასების რეზერვის ცვეთა	-	(6,543)	6,511	32	-
31-დეკ-22	2,310	19,646	18,975	2,433	43,364

თ. 3
თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი
ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თ. გოშაძე
თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი
ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	11,834	1,884
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	992	675
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(39)	(89)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	77
ფინანსური ხარჯი	1,305	1,066
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(3,510)	(2,258)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,761)	(615)
კლება/(ზრდა)სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	2,120	(545)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(1,048)	865
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,948	4,003
სესხის პროცენტის გადახდა	(1,305)	(1,066)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	13,536	3,997
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,120)	(2,552)
საინვესტიციო ქონების შეძენა	(10,788)	-
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,908)	(2,552)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის შემცირება	(1,106)	(1,570)
სესხის აღება	12,965	4,288
სესხის დაფარვა	(8,500)	(5,588)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	3,359	(2,870)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,987	(1,425)
საკურო სხვაობა ფულად სახსრებზე	(197)	(4)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,013	2,442
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,803	1,013

თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

თენგიზ ფალავანდიშვილი
ფინანსური დირექტორი

ჯგუფი ბაკური

ჯგუფი ბაკური
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

	2022	2021
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
მოგება დაბეგვრამდე	11,834	1,884
კორექტირება		
ცვეთა და ამორტიზაცია	992	675
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(39)	(89)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	77
ფინანსური ხარჯი	1,305	1,066
ნეტო კურსთა შორის სხვაობა	(3,510)	(2,258)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,761)	(615)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური მარაგებში	2,120	(545)
(ზრდა)/კლება წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(1,048)	865
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	4,948	4,003
სესხის პროცენტის გადახდა	(1,305)	(1,066)
ფულადი სახსრების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	13,536	3,997
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4,120)	(2,552)
საინვესტიციო ქონების შეძენა	(10,788)	-
ფულადი სახსრების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,908)	(2,552)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
კაპიტალის შემცირება	(1,106)	(1,570)
სესხის აღება	12,965	4,288
სესხის დაფარვა	(8,500)	(5,588)
ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	3,359	(2,870)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,987	(1,425)
საკუროს სხვაობა ფულად სახსრებზე	(197)	(4)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,013	2,442
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,803	1,013

თ. ბაკური
თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი
392089
ჯგუფი ბაკური

თენგიზ ფალაგანდიშვილი
ფინანსური დირექტორი
ჯგუფი ბაკური

11 დეკემბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-17 წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ბაკური“ (ს/ნ 245392089) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოში 1996 წლის 24 იანვარს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის - საქართველო, ბათუმი, ქუჩა ზ. გამსახურდია/ჭავჭავაძე, N49/4, სადარბაზო 4, სართული 2, ბინა N51.

ჯგუფის მფლობელები არიან თენგიზ ბაკურიძე (ასევე დირექტორი) (60.25%) და ნონა ბაკურიძე (39,75%).

ჯგუფის საქმიანობის სფერო მრავალმხრივია მათ შორისაა - მშენებლობა; სასტუმრო მომსახურება და სასტუმრო კომპლექსის იჯარით გაცემა; კომერციული ფართების იჯარით გაცემა სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო ტერიტორიაზე (ბაზარი); მცირე ჰესების მართვა.

ასევე ჯგუფი 100%-იანი წილის მფლობელია შემდეგ კომპანიებში - შპს ბ.თ. ბათუმი (ს/ნ 245594245); შპს ლეჩა (ს/ნ 445431195) და შპს ქ. ბათუმის N 4 პოლიკლინიკა (ს/ნ 245425197), ასევე ჯგუფის გააჩნია 63.06%-იანი წილი ჯგუფი შპს ბეთლემი-2011-ში (ს/ნ 448382526).

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 მომზადების საფუძველი

განაცხადი შესაბამისობაზე. წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგებები მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის“ (ფასს-ები მსს-სთვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონთან შესაბამისობაში. კონსოლიდირებული ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურულიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არასაკონტროლო წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნება იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არასაკონტროლო წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებში შესული მუხლები ფასდება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც საწარმო ოპერირებს (სამუშაო ვალუტა). ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული უცხოური სავალუტო ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება ოპერაციების განხორციელებისას გავრცელებული სავალუტო კურსების მიხედვით. უცხოური სავალუტო შემოსულობები და ზარალი, რომელიც მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსების გადაყვანის შედეგია, აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ ნაწილში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა და ზარალი წარდგენილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, „სხვა საოპერაციო ხარჯების“ ან „სხვა შემოსავლის“ ნაწილში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: 1 \$ = 2.7020 ლარს და 1 € = 2.8844 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი 1 \$ = 3.0976 ლარს და 1 € = 3.5040 ლარს). 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი იყო 1 \$ = 2.9156 და 1 € = 3.0792 ლარს (2021: 1 \$ = 3.2209 და 1 € = 3.8140 ლარს). ამავდროულად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლითი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მიერ ფლობილი ქონება კაპიტალის ღირებულების გაზრდისთვის. საინვესტიციო ქონება მოიცავს დაუმთავრებელ აქტივებს, მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოყენებისთვის.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მიმდინარე ფასები მსგავსი ქონების აქტიურ ბაზარზე იმავე ადგილზე და პირობებით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა დადგინდეს, არის თუ არა რაიმე ნიშანი გაუფასურების შესახებ. თუ რაიმე ასეთი მითითება არსებობს, მაშინ ფასდება აქტივის ანაზღაურებადი თანხა.

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა შემოწმება შეუძლებელია კონსოლიდირებულად, გაერთიანებულია იმ აქტივების უმცირეს ჯგუფში, რომლებიც უწყვეტი მოხმარების შედეგად წარმოქმნიან ფულადი სახსრების შემოდინებას, რაც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (CGU) მიერ ფულადი სახსრების შემოდინებისგან. ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ცალკეულ ფულადი სახსრების შემოდინებას და გამოიყენება ერთი CGU-ს მიერ.

აქტივის ან CGU-ის ანაზღაურებადი თანხა არის უდიდესი მისი გამოყენების ღირებულებასა და მის რეალურ ღირებულებას, შემცირებულს გაყიდვის ხარჯებით, შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ დრეკანდელ ღირებულებამდე დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივის ან CGU-სთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. CGU-სთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება CGU-ში შემავალი აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად, პროპორციულ საფუძველზე. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ნებისმიერი მინიშნებისთვის, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალი ანაზღაურდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი თანხის დასადგენად გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გარეშე, რომ არ აღიარებულიყო გაუფასურების ზარალი.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად, ბაზრის მონაწილეთა შორის გარიგებისას შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორებიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადი ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება არის შეფასება, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადაცემებს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდათ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ზარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობა საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ განისაზღვრება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება. ძირითადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისას, რომლებიც ფასდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. საფინანსო ოპერაცია შეიძლება მითითებული იყოს საქონლის ან მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგალითად, თუ გადახდა გადავადდა ჩვეულებრივი ბიზნეს პირობების მიღმა ან ფინანსდება საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება. სავალო ინსტრუმენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება ფულადი სახსრების ან სხვა ანაზღაურების არადისკონტირებული ოდენობით, რომლების გადახდა ან მიღება მოსალოდნელია გა (ანუ გაუფასურების გარეშე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება ფაქტობრივად წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს საფინანსო ოპერაციას, ჯგუფი სავალო ინსტრუმენტს აფასებს სამომავლო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფის გადაცემული აქვს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადაცემულია აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდის უუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები. ფულადი სახსრები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფის არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგებაში ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით. ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგი გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის გასაყიდ ფასამდე, შემცირებული გაყიდვის ხარჯებით. გაუფასურების ზარალი მყისიერად აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა დავალიანება. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ.) უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჯგუფის მესაკუთრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარჩებებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

შენობა-ნაგებობები	30-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები	10-15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად თანხამდე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია ვიდრე მისი ანაზღაურებადი თანხა.

გასვლებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება „სხვა შემოსავალში“ და „სხვა დანახარჯებში“ სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. 01-იან-17-მდე, საგადასახადო კრედიტი შედგებოდა მიმდინარე გადავადებული გადასახადისგან და აღიარებული იყო წლის მოგებაში ან ზარალში, თუ ის არ იყო აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის ეხებოდა იმ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარებული იყო, იგივე ან სხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომელიც მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან იქნება მისაღები, მიმდინარე და გასული პერიოდების დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს, როდესაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის ჩაბარებამდე.

გადავადებული მოგების გადასახადი აისახება ბალანსის ვალდებულებების მეთოდით საგადასახადო გადასახადის მომავალ პერიოდში გადატანისათვის და აქტივების და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მათ საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი განსხვავებებისათვის. საწყისი აღიარებისგან გათავისუფლების გამო, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებისას წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გარდა იმ ოპერაციებისა, რომლებიც არ მოიცავს საწარმოთა გაერთიანებას, თუ ეს ოპერაციები საწყისი აღიარებისას გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება იმ საპროცენტო განაკვეთებით, რომლებიც ძალაშია ან შემდეგში შევა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავრცელდება იმ პერიოდზე, როდესაც დროებითი განსხვავებები ანუღირდება ან გამოყენებული იქნება შემდეგ პერიოდებში გადატანილი საგადასახადო ზარალი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისათვის და გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აღირიცხება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობები მომავალში ანუღირდება და საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგება წარმოიქმნება იმისათვის, რომ შესაძლებელი იქნეს მის საპირისპიროდ აღნიშნული გამოქვითვების გამოყენება.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება, როდესაც არსებობს იურიდიულად აღსრულებადი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების გადაფარვისათვის და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც დაკისრებულია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ იმავე დასაბეგრ საწარმოზე ან სხვა დასაბეგრ საწარმოებზე, როდესაც არ არსებობს ამ ნაშთების ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ წმინდა დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება). 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადანაწილებიდან აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის დანახარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რა პერიოდში ან რა თარიღით ჰქონდა ფაქტობრივ გადახდას ადგილი. პირობითი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა საოპერაციო დანახარჯებში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო შემოსავლის, დოსკონტრირების, მოცულობითი ფასდათმობების გარეშე. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს მაშინ, როდესაც ამონაგების თანხის სანდოდ შეფასება შესაძლებელია; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; და, როდესაც ჯგუფის თითოეული საქმიანობისთვის სპეციალური კრიტერიუმები დაცულია.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

5 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და განსჯა საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივ დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. ჯგუფი საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი კონსოლიდირებულად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც კონსოლიდირებულად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად ჯგუფის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიკური პროცენტებისადმი.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

6	ფულადი სახსრები	31-დეკ-22	31-დეკ-21
	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	151	40
	ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	2,464	625
	ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	188	348
	სულ ფულადი სახსრები	2,803	1,013
7	სავაჭრო მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
	სავაჭრო მოთხოვნები	3,818	2,082
	გადახდილი ავანსები	156	209
	სხვა მოთხოვნები	473	395
	სულ სავაჭრო მოთხოვნები	4,447	2,686

ჯგუფი ბაკური
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

8	მარაგები					31-დეკ-22	31-დეკ-21
	ნედლეული					10,712	12,544
	სხვა მარაგები					1,325	1,613
	სულ მარაგები					12,037	14,157
9	წინასწარ გადახდილი გადასახადები					31-დეკ-22	31-დეკ-21
	დღგ					(2,671)	(1,216)
	ქონების გადასახადი					10	2
	სხვა საგადასახადო აქტივები					5,359	2,864
	სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები					2,698	1,650
10	საინვესტიციო ქონება					31-დეკ-22	31-დეკ-21
	საინვესტიციო ქონება					10,817	29
	სულ საინვესტიციო ქონება					10,817	29
11	ძირითადი საშუალებები	მიწა და შენობა	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები		სულ
	ისტორიული ღირებულება						
	31-დეკ-20	50,717	426	3,200	726		55,069
	შეძენა	2,351	107	70	24		2,552
	ჩამოწერა	(68)	(96)	(23)	(51)		(238)
	31-დეკ-21	53,000	437	3,247	699		57,383
	შეძენა	3,419	62	72	567		4,120
	ჩამოწერა	(1,258)	(91)	(43)	(75)		(1,467)
	31-დეკ-22	55,161	408	3,276	1,191		60,036
	აკუმულირებული ცვრთა						
	31-დეკ-20	3,933	205	438	58		4,634
	პერიოდის ცვრთა	622	122	243	5		992
	ცვრთის ჩამოწერა	(60)	(87)	(192)	(2)		(341)
	31-დეკ-21	4,495	240	489	61		5,285
	პერიოდის ცვრთა	379	63	223	10		675
	ცვრთის ჩამოწერა	-	(71)	(83)	(4)		(158)
	31-დეკ-22	4,874	232	629	67		5,802
	ნარჩენი ღირებულება						
	31-დეკ-20	46,784	221	2,762	668		50,435
	31-დეკ-21	48,505	197	2,758	638		52,098
	31-დეკ-22	50,287	176	2,647	1,124		54,234
12	სავაჭრო და სხვა დავალიანება					31-დეკ-22	31-დეკ-21
	სავაჭრო ვალდებულებები					12,610	11,956
	მიღებული ავანსები					7,618	4,145
	სულ სავაჭრო და სხვა დავალიანება					20,228	16,101
13	ნასესხები სახსრები					31-დეკ-22	31-დეკ-21
	გრძელვადიანი სესხები ევროში ბანკისგან					23,444	20,587
	სულ ნასესხები სახსრები					23,444	20,587
14	ამონაგები					2022	2021
	შემოსავალი მომსახურებიდან					14,859	7,614
	შემოსავალი საქონლიდან					1,234	1,333
	სხვა შემოსავალი					2,312	603
	სულ ამონაგები					18,405	9,550

ჯგუფი ბაკური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

15	რეალიზაციის თვითღირებულება	2022	2021
	საქონლის ღირებულება	3,838	3,199
	სხვა ხარჯების ღირებულება	899	2,469
	სულ რეალიზაციის თვითღირებულება	4,737	5,668

16	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
	ხელფასის ხარჯი	1,416	1,329
	ცვეთის ხარჯი	992	675
	იჯარის ხარჯი	52	17
	სხვა ხარჯი	1,691	1,356
	სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,151	3,377

17 ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შედგება საპროცენტო ხარჯისგან 1,305 ათასი ლარი 2022 წელს, 1,066 ათასი ლარი 2021 წელს.

18 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	მენეჯმენტის ანაზღაურება	2022	2021
	ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	94	47

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების სანახავად იხილეთ შენიშვნა 11 (ნასესხები სახსრები).

19 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შპს "ბაკური"
მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

შინაარსი

გვერდი

კომპანია და მისი საქმიანობა	1
საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	1
არაფინანსური ანგარიშგება	2
სუბიექტის განვითარების გეგმები	2
ძირითადი რისკები	2

ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდია 2

1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ბაკური“ დაფუძნებულია 1996 წლის 24 იანვარს. იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.ბათუმი გამსახურდიას -ჭავჭავაძე ქუჩა # 49/4 სადარბაზო 4 სართული ბინა 51.

კომპანიის დამფუძნებლებია არიან თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) და ნონა ბაკურიძე (პ/ნ 61001016808) წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თენგიზ ბაკურიძე - 60,25%;

ნონა ბაკურიძე - 39,75%.

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებენ დირექტორები.

შპს „ბაკური“-ს დირექტორად არჩეულია თენგიზ ბაკურიძე (პ/ნ 61006000763) საქართველოს მოქალაქე.

შპს „ბაკური“-ს საქმიანობა მრავალდარგობრივია და მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- 1) მშენებლობა;
- 2) სასტუმრო მომსახურება და სასტუმრო კომპლექსის იჯარით გაცემა;
- 3) კომერციული ფართების იჯარით გაცემა სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო ტერიტორიაზე (ბაზარი);
- 4) მცირე ჰესების მართვა.

2 საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2022	2021
შემოსავალი მომსახურებიდან	2,999	2,278
შემოსავალი საქონლიდან	1,218	1,282
სხვა შემოსავალი	2,313	603

	2022	2021	ცვლილება %
შემოსავალი მომსახურებიდან	2,999	2,278	32%
შემოსავალი საქონლიდან	1,218	1,282	-5%
სხვა შემოსავალი	2,313	603	284%
საქონლის ღირებულება	(80)	(141)	-43%
სხვა ხარჯების ღირებულება	(749)	(2,305)	-68%
ხელფასის ხარჯი	(679)	(662)	3%
ცვეთის ხარჯი	(460)	(469)	-2%
იჯარის ხარჯი	(40)	(17)	135%
სხვა ხარჯი	(911)	(789)	15%

ლიკვიდურობის მაჩვენებელი		
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	6.97%	20.92%
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	93.03%	79.08%

3 არაფინანსური ანგარიშგება

დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა	2022	2021
დასაქმებულთა რაოდენობა	105	89

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

4 სუბიექტის განვითარების გეგმები

განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- სამშენებლო საქმიანობის გაფართოება;
- სასტუმროებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- ელექტროენერგიის გამომუშაოების გაზრდა;
- დასაქმებული პერსონალის შენარჩუნება და შესაძლებლობის ფარგლებში სახელფასო ფონდის ზრდა.

განვითარების რესურსები:

- საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- გამოცდილება შესაბამის სექტორში;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

5 ძირითადი რისკები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: ეკოლოგიური რისკები; პოლიტიკური რისკები;

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე.

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევის აღნიშნულ რისკს.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

თენგიზ ბაკურიძე

დირექტორი

შპს "ბაკური"

11 დეკემბერი, 2023

4 სუბიექტის განვითარების გეგმები

განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- სამშენებლო საქმიანობის გაფართოება;
- სასტუმროებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- ელექტროენერგიის გამომუშაოების გაზრდა;
- დასაქმებული პერსონალის შენარჩუნება და შესაძლებლობის ფარგლებში სახელფასო ფონდის ზრდა.

განვითარების რესურსებია:

- საკმარისი აქტივები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- გამოცდილება შესაბამის სექტორში;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე მენეჯმენტი აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

5 ძირითადი რისკები

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს დარგობრივი რისკები: ეკოლოგიური რისკები; პოლიტიკური რისკები;

საქართველოში არსებულ პოლიტიკურად არა სტაბილურ გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე ქვეყნის ტერიტორიაზე.

სხვა რისკები

საკრედიტო რისკი: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი: საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას. მენეჯმენტი თვლის რომ ახალი ობიექტის სრულად დატვირთვით მიღებული შემოსავლებით დაძლევის აღნიშნულ რისკს.

სამართლებრივი რისკები

სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

თენგიზ ბაკურიძე
დირექტორი

შპს "ბაკური"

11 დეკემბერი, 2023

